



MES 6 22 0000661789



17/06/2022

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 03.06.2022

სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ

სხდომის დასრულების დრო: 17:10 სთ

საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი

საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

- 1. გოდერძი ბუჩაშვილი** - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის“ ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
- 2. ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
- 3. ირინა გველესიანი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
- 4. ხათუნა თოღაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი;
- 5. მაკა კაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;

6. **ირინა ლობჯანიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
7. **თეა მჭედლური** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
8. **ეკატერინე ნაცვლიშვილი** - შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ ასოცირებული პროფესორი;
9. **თამარ სირაძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;
10. **დავით ტეფნაძე** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი);
11. **ეკატერინე შაკიაშვილი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
12. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
13. **გურანდა ჭელიძე** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი;
14. **ანზორ ბერიძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში;
15. **ერეკლე ასტახიშვილი** - შპს "თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის" პროფესორი, სსიპ - შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე;
16. **დავით ჩოჩიშვილი** - სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	სოფო ქურასხედიანი	უმადლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	დაწესებულება	პოზიცია	საკითხი
1	ვლადიმერ ლლონტი	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I, II, III
2	ნათია წიკლაშვილი	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ეკონომიკის პროგრამის ხელმძღვანელი, დეკანი	I, II, III
3	ასიე ცინცაძე			I, II, III

		სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	
4	ლევან ჯაყელი	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სამართლის პროგრამის ხელმძღვანელი, დეკანი	I, II, III
5	ირაკლი გორგილაძე	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ასოცირებული პროფესორი	I, II, III
6	ადამ მახარაძე	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი პროფესორი	I, II, III
7	მურმან გორგოშაძე	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	I, II, III
8	ნინო დობორჯგინიძე	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი	IV
9	ნინო ჟვანია	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	IV
10	ნინო მატარაძე	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი	IV
11	ბელა წიფურია	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	IV
12	ლევან ცაგარელი	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	IV
13	რეზო მარსაგიშვილი	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	IV
14	მაკა ლაშხია	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის	IV

			ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი	
15	ირინა სამსონია	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი	IV
16	დავით მახვილაძე,	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი,	V
17	თამარ ლომინაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანი	V
18	თინათინ კაიშაური	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	პროფესორი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	V
19	ნინო ბერაია	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	პროფესორი, რუსულენოვანი ბაკალავრიატის პროგრამის "ინფორმატიკა" ხელმძღვანელი	V

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ეკა გეგეშიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	მარინე ჩავლეიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ნინო მესხიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II, III
4	ნინო პოპიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
5	დარეჯან თვალთვალაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
6	მანანა ხაჩიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V

აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა

უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27⁵-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართალმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ენათმეცნიერება და ლიტერატურათმცოდნეობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ინფორმატიკის“ რუსულენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

· არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართალმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ენათმეცნიერება და ლიტერატურათმცოდნეობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ინფორმატიკის“ რუსულენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

პირველი საკითხი : სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ
---	--

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკონომიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2019 წლის 05 თებერვლის N38 გადაწყვეტილებით
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ეკონომიკა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ეკონომიკის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0311 ეკონომიკა
12	კვალიფიკაციის დასახელება და კოდი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანების მიხედვით	0701 ეკონომიკა
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
15	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. ბათუმი, 6010, ნინოშვილის/რუსთაველის ქუჩა 32/35

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოსწევრ(ებ)ისაცილება

✓ არა

საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება

✓ კი

თვითაცილება განაცხადეს - თამარ სირაძემ და ანზორ ბერიძემ

საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის “ეკონომიკის“ საბაკალავრო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა №38 გადაწყვეტილებით. ამჟამად პროგრამა გადის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობას. სწავლების ორგანიზების თავისებურებები: პროგრამა 240 კრედიტიანია, მათ შორის სავალდებულო სასწავლო კურსები - 150 ECTS კრედიტია, ძირითადი სპეციალობის არჩევითი კურსები - 15 ECTS კრედიტია, პროგრამა მოიცავს საბაკალავრო ნაშრომს - 10 ECTS კრედიტის და პროფესიულ პრაქტიკას - 5 ECTS კრედიტს. დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსები ან თავისუფალი არჩევითი კურსები- 60 ECTS კრედიტი.

პროგრამა მხოლოდ სტანდარტის 2.3 კომპონენტთან მიმართებითაა მეტწილ შესაბამისობაში, ხოლო დანარჩენი სრულ შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაცია:

1. რეკომენდებულია, გადაიხედოს და ჩასწორდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლის შედეგები ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის ნაწილში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და ისაუბრა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციაზე, კერძოდ განმარტა, რომ დაწესებულება იზიარებს რეკომენდაციას, სილაბუსების ნაწილში ავტონომიურობა და პასუხისმგებლობის შედეგი ცოდნა-უნარების იდენტურია. გადაიხედება და ჩასწორდება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანმა დააზუსტა, თუ სად გადიან სტუდენტები პროფესიულ პრაქტიკას. ასევე, დააზუსტა პრაქტიკის შეფასების ნაწილიც, ვინაიდან ქულები დეტალურად ჩაშლილი არ იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ თითოეული კომპონენტის დაზუსტება ნამდვილად სასარგებლო იქნება პროგრამისათვის, შესაბამისად დაწესებულება აუცილებლად გაითვალისწინებს აღნიშნულს სამომავლოდ.

რაც შეეხება ექსპერტთა რეკომენდაციას, როგორც მათ უკვე აღინიშნეს, მოცემული აუცილებლად იქნება შესრულებული, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ არსებული მდგომარეობაც არანაირად არ აზიანებს პროგრამასა და სასწავლო პროცესს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყებისდრო: 14:15

დასრულებისდრო: 14:19

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგვემიურ მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 -ე პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლია იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტირუს 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

მიჩნეულ იქნეს, რომ „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“

საბჭოს სხდომას შემოუერთდნენ თვა მჭედლური და დავით ჩოჩიშვილი

მეორე საკითხი : სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართალმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალმცოდნეობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2021 წლის 26 მარტის N291510 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	•
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის ბაკალავრი
8	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0421 სამართალი
9	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	•
10	სწავლების ენა	ქართული
11	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
12	განხორციელების ადგილი	ნინოშვილის 35, ბათუმი 6010, საქართველო, ბსუ-ის II კორპუსი, V სართული

მესამე საკითხი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2021 წლის 26 მარტის N291512 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	•
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის მაგისტრი
8	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0421 სამართალი
9	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	•
10	სწავლების ენა	ქართული
11	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
12	განხორციელების ადგილი	ნინოშვილის 35, ბათუმი 6010, საქართველო, ბსუ-ის II კორპუსი, V სართული

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცხადება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცხადება

✓ კი

თვითაცხადება განაცხადეს - თამარ სირაძემ და ანზორ ბერიძემ

საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშებს, მასზე თანდართულ დოკუმენტებსა და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნებს. დაწესებულების წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს.

ვინაიდან სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართალმცოდნეობის“ საბაკალავრო და „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშები შეისწავლა ერთმა ექსპერტმა, საბჭომ დაწესებულების თანხმობით გადაწყვიტა ორივე საკითხი განეხილათ ცალ-ცალკე, თუმცა ერთი შესვენების ფარგლებში.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა განახორციელა რიგი ცვლილებები საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციებისა და რჩევების შესასრულებლად. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ საბჭოს რეკომენდაციები უნივერსიტეტის მიერ შესრულებულია, ასევე გათვალისწინებულია რჩევებიც.

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიში, ასევე მოიცავს საბჭოს მიერ გაცემული რჩევების შესრულების თაობაზე ინფორმაციას. საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების უზრუნველსაყოფად შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა, ასევე იმუშავა რჩევების მიმართულებითაც. სამუშაო ჯგუფის მიერ რჩევების ნაწილი გაზიარდა და, შესაბამისად, შესრულდა. რჩევების ნაწილთან დაკავშირებული მსჯელობა გრძელდება და რეაგირების ზომები განხილვის სტადიაშია, რამდენიმე რჩევა არ გაზიარებულა. რჩევებთან დაკავშირებული კონსულტაციები და რეაგირების გზები განხილვის მომენტშია და საბოლოო ანგარიში უნივერსიტეტის მიერ მომზადებული იქნება მონიტორინგის მომენტისათვის 2022 წლის სექტემბრამდე.

ექსპერტმა ასევე ისაუბრა მე-4 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, კერძოდ, აუცილებელია, „ადვოკატი კერძო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში“, „პროფესიული ეთიკა“, „ადვოკატი სისხლის სამართლის პროცესში“ და სხვა საგნებში აღმოიფხვრას სასწავლო საკითხების დუბლირება, რადგან სილაბუსების შესწავლამ დაადასტურა აღნიშნული პრობლემა. მოცემულ რეკომენდაციასთან მიმართებით ექსპერტმა განმარტა, რომ როგორც ანგარიშიდან ირკვევა, აღნიშნული სილაბუსის ავტორებმა შეაჯერეს სილაბუსები და, შესაბამისად, განახორციელეს კორექტირება. უნივერსიტეტი მკაფიოდ უსვამს ხაზს, რომ ამ ორ საგანს შორის დუბლირება განპირობებულია ობიექტური და გონივრული გარემოებით, და დაწესებულება, შესაბამისად, ასაბუთებს, რომ, რადგანაც სასწავლო კურსებს სხვადასხვა მიმართულების სტუდენტები სწავლობენ, მათ არ უხდებათ აღნიშნული საგნების განმეორებით გავლა და, შესაბამისად, ერთი და იმავე საკითხის ორჯერ სწავლა. რამდენადაც სხვადასხვა მიმართულების სტუდენტები საადვოკატო საქმიანობისთვის აუცილებელ ცოდნას და უნარებს იძენენ, ობიექტურად შეუძლებელია მათ არ ისწავლონ ძირითადი საბაზო საკითხები, რაც ყველა მიმართულების სპეციალიზაციისათვის საერთოა. რადგანაც წარმოდგენილი იყო მხოლოდ ერთი სასწავლო კურსის სილაბუსი „ადვოკატი კერძო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში“, აღნიშნული სამივე სილაბუსის შედარება არ განხორციელებულა.

რაც შეეხება მე-6 რეკომენდაციას, უნივერსიტეტის მიერ აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულია ერთ წარმოდგენილ სასწავლო კურსთან მიმართებაში „შრომის სამართალი“. როგორც ანგარიშიდან ირკვევა, ექსპერტის შენიშვნის შესაბამისად განხორციელდა აღნიშნულ კურსში ცვლილება და თემატიკაში (მე-13 კვირას დაემატა თემა „საერთაშორისო გამოცდილება და სასამართლო პრაქტიკა“, მე-14 კვირას დაემატა თემა „შრომით დავებზე მიღებული საერთაშორისო პრაქტიკის გაცნობა; სილაბუსიდან ირკვევა, რომ განახლდა ლიტერატურაც. რადგანაც რეკომენდაციაში ნაგულისხმევია რამოდენიმე საგანი „ძალიან კარგი იქნება თუ ზოგიერთ საგანში ჩაემატება შედარებითი მიმოხილვით დატვირთული სახელმძღვანელოები“, ივარაუდება, რომ უნივერსიტეტის მიერ აღნიშნული რეკომენდაციის შესრულება ცალსახად დაწყებულია და სასურველია, რომ აღნიშნული რეკომენდაცია გაზიარდეს სხვა საგნებთან მიმართებაშიც.

დსანიშნავია, ასევე, მე-12 რეკომენდაცია, კერძოდ, აღნიშნული რეკომენდაცია გამოწვეული იყო ექსპერტთა შენიშვნით, რომ გარკვეული საგნების ლექტორებს, მაგალითად: ინტელექტუალური სამართალი, შრომის სამართალი, სანოტარო სამართალი, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, არ უდასტურდებოდათ აღნიშნულ სფეროში შესაბამისი კვლევა, ნაშრომი ან სხვაგვარი ჩართულობა. აღნიშნულ სალექციო კურსებს უძღვებოდნენ პრაქტიკოსი

სპეციალისტები ან ასისტენტები. როგორც ანგარიშის დოკუმენტიდან ირკვევა, აღნიშნული რეკომენდაციის შესასრულებლად, უნივერსიტეტმა განახორციელა გარკვეული ცვლილებები და სასწავლო კომპონენტების განხორციელება დაევალოთ სათანადო კომპეტენციის მქონე აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს. გადამოწმდა აღნიშნული სილაბუსები, თუმცა ვერ მოხდა აღნიშნული რეკომენდაციის შესრულების გადამოწმება, რადგან უნივერსიტეტს არ წარმოუდგენია ინფორმაცია შესაბამისი კურსის ლექტორების შესახებ (CV), საიდანაც დადგინდებოდა შესაბამისი კვლევა, ნაშრომი ან სხვაგვარი ჩართულობა და პრაქტიკული გამოცდილება. აღნიშნული ინფორმაცია (ლექტორების შესახებ) არც უნივერსიტეტის ვებგვერდიდან დგინდება, გარდა “საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი” სილაბუსის ავტორისა, თუმცა სასწავლო კურსს სხვა პირი ახორციელებს. ესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაციის შესრულება არ გადამოწმებულა.

ნიშვნელოვანია, ასევე, 21-ე და 22-ე რეკომენდაციები, კერძოდ 2.1 უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით ფაკულტეტის შემადგენლობაში შემავალი სასწავლო დეპარტამენტების ხელმძღვანელები კურირებას უწევენ სააუდიტორიო მუშაობას. უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული სპეციალური ფორმის შესაბამისად ხდება დარღვევების აღრიცხვა. დეპარტამენტების ხელმძღვანელები მონიტორინგს უწევენ გაცდენილი საათების გრაფიკის შედგენას, რის თაობაზეც ყოველთვიურ ანგარიშს უბარებენ დეკანს. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან დგინდება, რომ ხორციელდება გეგმიური და არაგეგმიური დასწრებები აკადემიური და მოწვეული პერსონალის სააუდიტორიო მუშაობაზე, ხორციელდება მიღებული შედეგების განხილვა და გაანალიზება. შესაბამისად, აღნიშნული 21-ე რეკომენდაცია შესრულებულია.

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ აკადემიური პერსონალის შეფასების შედეგები გათვალისწინებულია აკადემიური პერსონალის არჩევის წესში. აღნიშნული დოკუმენტის მე-4 მუხლის თანახმად, პროფესორის და ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევმა კანდიდატმა სხვა მოთხოვნილ დოკუმენტაციასთან ერთად უნდა წარმოადგინოს სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის პერიოდში მისი სამეცნიერო და პედაგოგიური მუშაობის შეფასების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც საკონკურსო კომისია შეფასების ფორმაში ადგენს კონკურსანტის ვაკანსიასთან შესაბამისობას. აღნიშნული ემსახურება პროფესორ-მასწავლებელთა პასუხისმგებლობის გაზრდას და სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებას. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს და მოქმედებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის თვითშეფასების ელექტრონული სისტემა. რადგანაც, უშუალოდ, ბმულზე შესვლა ვერ განხორციელდა, უნივერსიტეტს წარმოდგენილ ანგარიშში დეტალურად აღწერილი აქვს აღნიშნულ პლატფორმაზე შეფასების კრიტერიუმები, რაც 22-ე რეკომენდაციის შესრულებას თვალსაჩინოდ გამოხატავს ყველა სხვა წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან ერთად. უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ უნივერსიტეტს შემუშავებული და განსაზღვრული აქვს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სავალდებულო მოთხოვნები. შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაცია წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით შეიძლება შესრულებულად ჩაითვალოს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა საბჭოსა და ექსპერტებს და აღნიშნა, რომ ყველა რეკომენდაცია მიმართული იყო პროგრამის ხარისხის გაუმჯობესებაზე.

მნიშვნელოვანია, რომ სახელმძღვანელოების დამატება განხორციელდა იმ სასწავლო კურსებში, რომელიც მითითებული ჰქონდა ექსპერტებს. სახელმძღვანელოების განახლება წარმოადგენს მუდმივ პროცესს, რომელიც უნივერსიტეტში ხორციელდება შესაბამისი ფინანსური მხარდაჭერით და პროგრამის საჭიროებისა და ფაკულტეტის საბჭოს დადასტურების შემდეგ ხდება ლიტერატურის განახლება. შესაბამისად, ყველა ეს პროცესი ამ ეტაპზე მიმდინარეობს და ახალი ლიტერატურით მოხდება ყველა სასწავლო კურსის განახლება.

რაც შეეხება აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციას, აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესი შესაბამისი კონკურსის გავლას გულისხმობს, სადაც შეფასება ხდება კვლევითი შედეგებიდან გამომდინარე. შესაბამისად, პერსონალის კვლევითი საქმიანობისა და ცოდნის შესაბამისობა დგინდება იმ სასწავლო კურსებთან, რომელსაც ის განახორციელებს. ეს პრინციპი, ასევე, დაცულია მოწვეული პერსონალის შემთხვევაშიც. თუ აღნიშნული არ იქნა დოკუმენტურად დადასტურებული, სახეზეა ტექნიკური ხარვეზი, ვინაიდან უნივერსიტეტის მიდგომაა, რომ მხოლოდ და მხოლოდ შესაბამისი კვალიფიკაციის პერსონალი იყოს წარმოდგენილი პროგრამაზე.

პროგრამის ხელმძღვანელმა ისაუბრა ადვოკატირების სასწავლო კურსის დუბლირებასთან დაკავშირებით და მოცემული სამი საგანი, სამ სხვადასხვა ჯგუფთან ერთი საქმის სწავლებაზე იყო ორიენტირებული. საფუძვლების საკითხები სამივე ჯგუფს ერთნაირად მიეწოდებათ, თუმცა შემდეგ ხდება მათი ჩაღრმავება მიმართულებისა და სპეციალიზაციის მიხედვით. ვინაიდან რეკომენდაცია გულისხმობდა დუბლირების გამოსწორებას, დაწესებულებამ ცვლილება ერთ სილაბუსში შეიტანა. მნიშვნელოვანია, რომ შინაარსობრივი თვალსაზრისით სახეზე არანაირი დუბლირება არ იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა დააზუსტა გარე შეფასების შედეგად მოხდა თუ არა პროგრამის დახვეწა და ექსპერტების რეკომენდაციების, შესაბამისად, პროგრამის შინაარსის განვითარება.

დაწესებულების წარმომადგენელმა საკითხთან დაკავშირებით განმარტა, რომ გარე შეფასების გათვალისწინებით პროგრამას დაემატა პროცესუალური სამართლის საკითხები, ასევე ბავშვთა უფლებებთან და ანტიდისკრიმინაციულ საკითხებთან დაკავშირებული სასწავლო კურსები.

საბჭო გადავიდა მესამე საკითხის განხილვაზე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილ ანგარიშში ჩანს, რომ პროგრამის ხელმძღვანელების ინიციატივით წარმოდგენილ იქნა სამოქმედო გეგმები, რომლის მიხედვით გაიწერა პასუხიმგებელი პირები, ვადები და ინდიკატორები საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების შესრულების უზრუნველსაყოფად. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ გადაწყდა, რომ 2018 წლის 17 სექტემბრის #97 დადგენილებით შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა გააგრძელოს საქმიანობა და კოორდინაცია გაუწიოს საბჭოს გადაწყვეტილების შესრულებას. უნივერსიტეტის ანგარიშისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ საბჭოს რეკომენდაციები უნივერსიტეტის მიერ შესრულებულია, ასევე გათვალისწინებულია რჩევებიც.

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიში, ასევე, მოიცავს ინფორმაციას საბჭოს მიერ გაცემული რჩევების შესრულების შესახებ. საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების უზრუნველსაყოფად შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა, ასევე იმუშავა რჩევების მიმართულებით. სამუშაო ჯგუფის მიერ რჩევების ნაწილი გაზიარდა და, შესაბამისად, შესრულდა. რჩევების ნაწილთან დაკავშირებული მსჯელობა გრძელდება და რეაგირების ზომები განხილვის სტადიაშია, მათ შორის ერთი რჩევა არ გაზიარებულა, ასევე ერთი რჩევა ბუნდოვანი და გაუგებარია. რჩევებთან დაკავშირებული კონსულტაციები და რეაგირების გზები განხილვის მომენტშია და საბოლოო ანგარიში უნივერსიტეტის მიერ მომზადებული იქნება მონიტორინგის მომენტისათვის 2022 წლის სექტემბრამდე.

ექსპერტმა აღნიშნა მე-14 რეკომენდაცია, კერძოდ, პროგრამის განხორციელების მოქნილობისა და ავტონომიურობის გაზრდისთვის აუცილებელია მოხდეს პროგრამის ბიუჯეტის დეცენტრალიზება. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტი, სრულად არ იძლევა იმის

წარმოდგენის საშუალებას, რომ განხორციელებულია პროგრამის ბიუჯეტის დეცენტრალიზაცია, თუმცა 2021 წლის 24 დეკემბერს ბსუ-ს წარმომადგენლობითმა საბჭომ შეიმუშავა და დაამტკიცა უნივერსიტეტის ბიუჯეტის შედგენის წესი. როგორც უნივერსიტეტი უთითებს, აღნიშნული გადაწყვეტილების მე-5 მუხლი იმგვარად არის გაწერილი, რომ ფაკულტეტის ინდივიდუალური საჭიროებები გათვალისწინებულია, კერძოდ ზემოაღნიშნული მე-3 პუნქტი უზრუნველყოფს ფარდობით ფინანსურ დამოუკიდებლობას. ასევე, აღნიშნული წესი მართვისთვის მეტად მოქნილი და ადაპტირებულია ცვლილებების შეტანის თვალსაზრისით. საჭიროებიდან გამომდინარე შესაძლებელია განხორციელდეს ფინანსური რესურსების გადანაწილებაც. აღნიშნული განაწესი უზრუნველყოფს ფაკულტეტისა და, შესაბამისად, პროგრამის განხორციელების ავტონომიურობას. აღნიშნული რეკომენდაცია უნივერსიტეტის მიერ ნაწილობრივ შესრულებულია

აღსანიშნავია, ასევე, მე-19 რეკომენდაცია, მუდმივად ხდებოდა პერსონალის პროფესიული, სამეცნიერო, კვლევითი და საგანმანათლებლო აქტივობის კონტროლი და ანალიზი ინსტიტუციის სტრუქტურული ერთეულების დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში. აღნიშნული საკითხი საბაკალავრო პროგრამის იდენტურად დაწესებულებამ უკვე განმარტა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ბიუჯეტის დეცენტრალიზაციასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტის მასშტაბიდან გამომდინარე, ეფექტიანობის გათვალისწინებით დაწესებულების საბიუჯეტო პროცესი არის ცენტრალიზებული. რესურსების მობილიზება ხდება უნივერსიტეტის ბიუჯეტში, საიდანაც ხდება განაწილება. მიუხედავად იმისა, რომ ბიუჯეტი არის ცენტრალიზებული მასში გათვალისწინებულია ყველა ფაკულტეტისა თუ პროგრამის საჭიროებები და მოთხოვნები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 14:55

დასრულება სდრო: 15:00

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართალმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27⁶ მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2¹¹ პუნქტის საფუძველზე სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართალმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში, საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^ბ მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2¹¹ პუნქტის საფუძველზე სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში, საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

საბჭოს სხდომას შემოუერთდა ერეკლე ასტახიშვილი

მეოთხე საკითხი : სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ენათმეცნიერება და ლიტერატურათმცოდნეობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	„ენათმეცნიერება და ლიტერატურათმცოდნეობა“
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2011 წლის 30 სექტემბრის N93 გადაწყვეტილებით
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ინტერდისციპლინური პროგრამა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -8
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფილოლოგიის დოქტორი[1]
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0232 ლიტერატურა და ლინგვისტიკა
12	კვალიფიკაციის დასახელება და კოდი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანების მიხედვით	0222 - ისტორია და არქეოლოგია კვალიფიკაციები: არქეოლოგიის დოქტორი ისტორიის დოქტორი კულტურის კვლევების დოქტორი პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი სოციოლოგიის დოქტორი ფსიქოლოგიის დოქტორი ფილოლოგიის დოქტორი ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
15	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N32

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოსწევრ(ებ)ისაცილება

✓ არა

საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება

✓ კი

თვითაცილება განაცხადა ირინა ლობჯანიძემ

საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამა „ენათმეცნიერება და ლიტერატურათმცოდნეობა“ 2011 წელს შემუშავებული ინტერდისციპლინური პროგრამის ბაზაზე განახლდა 2021 წელს. სადოქტორო პროგრამა ხორციელდებოდა 2011 წლიდან და იყო „სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების ინტერდისციპლინური სადოქტორო პროგრამის“ ნაწილი, ფილოლოგიის მიმართულება. 2011 წელს სადოქტორო პროგრამამ აკრედიტაციის საბჭოს 2011 წლის 30 სექტემბრის N93 გადაწყვეტილებით მიიღო აკრედიტაცია 5 წლის ვადით. 2021 წელს სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ინტერდისციპლინური სადოქტორო პროგრამა დაიშალა და მასში შემავალი მიმართულებები ჩამოყალიბდა ცალკეულ პროგრამებად. მათ შორის, ფილოლოგიის მიმართულებით შეიქმნა სადოქტორო პროგრამა „ენათმეცნიერება და ლიტერატურათმცოდნეობა“, განახლდა და დაკონკრეტდა სადოქტორო პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების თანახმად, შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი. ექსპერტთა ჯგუფს დაევალა სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „ენათმეცნიერება და ლიტერატურათმცოდნეობა“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენა. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო შესაფასებლად წარმოდგენილ პროგრამას და თანმხლებ დოკუმენტებს; პროგრამის შეფასებისას უნივერსიტეტიდან გამოთხოვილ იქნა დამატებითი დოკუმენტებიც. შემოწმდა პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის I , II და IV სტანდარტებთან და დადგინდა მათი შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, ნათლად ჩამოყალიბდეს სწავლის შედეგები, რომ მასში მკაფიოდ ჩანდეს ცოდნა - გაცნობიერების კომპონენტი.
2. მიზანშეწონილია, სადოქტორო პროგრამაში მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის დეტალური სფეროს განშტოებები განისაზღვროს კლასიფიკატორის მიხედვით და ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს ლიტერატურისა და ლინგვისტიკის (0322) და ენის დაუფლების (0321) სფეროები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ პირველი რეკომენდაცია დაწესებულების მოსაზრებით რჩევის ხასიათს ატარებს, ვინაიდან მსგავსი მოთხოვნა არც სტანდარტში არის გათვალისწინებული და არც სხვა რომელიმე დარგობრივ დოკუმენტში. ის მიდგომა, რომელსაც დაწესებულება იყენებს არ ეწინააღმდეგება სტანდარტებსა და მოთხოვნებს.

რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, დაწესებულებამ იხელმძღვანელა უშუალოდ კლასიფიკატორში მოცემული მონაცემებით და, ასევე, იმ სპეციფიკით, რაც ახასიათებს სადოქტორო პროგრამას, ვინაიდან პროგრამა მთლიანად არის კვლევაზე ორიენტირებული. მნიშვნელოვანია, რომ მოცემული სადოქტორო პროგრამა არ ითვალისწინებს ენის დაუფლებას. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამა „ენათმეცნიერება და ლიტერატურათმცოდნეობა“ არ გულისხმობს ენების შესწავლას ენის დაუფლების (ფლობის დონის ამალღების) მიზნით. ის ცალსახად ორიენტირებულია სწავლის სფეროების კლასიფიკატორით განსაზღვრული - ლიტერატურისა და ლინგვისტიკის (0232) - სფეროს კვლევაზე, რაც ამავე დოკუმენტით განმარტებულია შემდეგნაირად: „ლიტერატურა და ლინგვისტიკა ამ დეტალური სფეროს მიზნებისთვის განმარტებულია, როგორც თავისუფლად მოსაუბრე პირებისთვის ენ(ებ)ის შესწავლა მშობლიურ ან სწავლების ენაზე. ის მოიცავს შესაბამისი ლიტერატურისა და ლინგვისტიკის შესწავლას. შეიძლება მოიცავდეს ენის სტრუქტურასა და კომპოზიციას. მოიცავს ზოგად ლინგვისტიკას, ლიტერატურათმცოდნეობას და კონკრეტული ენის შესწავლის გარეშე შედარებით ლიტერატურათმცოდნეობას“. შესაბამისად, სფეროები პროგრამაში ამ ეტაპზეც გამიჯნულია, პროგრამა ფოკუსირებულია ლიტერატურისა და ლინგვისტიკის სფეროზე და არ მოიცავს ენის დაუფლების სფეროს. ბუნდოვანების თავიდან აცილების მიზნით, ფრაზა „მეორე ენის დაუფლება“ ამოღებული იქნება სადოქტორო პროგრამის აღწერიდან.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყებისდრო: 16:20

დასრულებისდრო: 16:40

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ენათმეცნიერება და ლიტერატურათმცოდნეობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე

მუხლის 25 -ე პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლია იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტირუს 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ენათმეცნიერება და ლიტერატურათმცოდნეობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

მიჩნეულ იქნეს, რომ „ენათმეცნიერება და ლიტერატურათმცოდნეობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

მეხუთე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ინფორმატიკის“ რუსულენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ინფორმატიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2021 წლის 30 მარტის N303282 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	•
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დასახელება	ინფორმატიკის ბაკალავრი
8	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
9	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	•
10	სწავლების ენა	რუსული
11	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
12	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0160, ქ. თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა N77

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცხადება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვით აცხადება

✓ კი

თვითაცილები განაცხადა - ეკატერინე შაკიაშვილი

საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს, მასზე თანდართულ დოკუმენტებსა და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა, მანანა ხაჩიძემ აღნიშნა, რომ სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ინფორმატიკის“ რუსულენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით გაცემული იყო შემდეგი რეკომენდაციები:

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების აღწერაში საინჟინრო ცოდნა ჩანაცვლდეს ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების ცოდნით;
2. სწავლის შედეგებში აქცენტი საინჟინრო მეცნიერების ნაცვლად გადავიდეს ინფორმატიკისა ან საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ფუნდამენტურ ცოდნაზე;
3. დეტალურად აღიწეროს პირთა პროგრამაზე დაშვების პირობები საგანთა და ქულების ზღვართა მითითებით;
4. განისაზღვროს პროგრამის სწავლების ენის რუსულის - ცოდნის დონე;
5. დეტალურად გაიწეროს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიღების პროცედურა;
6. ქართული ენის არმცოდნე სტუდენტებისათვის მკვეთრად უნდა განისაზღვროს ქართული ენის შესწავლის აუცილებლობა და ქართული ენის შესასწავლად გამოიყოს უფრო მეტი მოცულობის კრედიტები;
7. დაზუსტდეს გარე შეფასების პროცესის პერიოდულობა, შედეგების ანალიზის და ქმედებების პროცედურები;
8. ზუსტად აღიწეროს პროგრამის სწავლის შედეგების მონიტორინგის პერიოდულობა, მონიტორინგის შედეგებზე რეაგირების პროცედურა;
9. სასწავლო კურსებში საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა მოვიდეს შესაბამისობაში სწავლის შედეგებთან და სასწავლო კურსის სპეციფიკასთან;
10. ჩატარდეს ბაზრის კვლევა, ინფორმატიკის რუსულენოვან სპეციალისტების ჯგუფზე ფოკუსირებით;
11. საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტში ხარჯების კლასიფიცირება იყოს მკაფიო და ნათელი.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ყველა რეკომენდაცია შეასრულა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს გაწეული შრომისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ კითხვები

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:50

დასრულების დრო: 17:00

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ინფორმატიკის“ რუსულენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^ბ მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2¹¹ პუნქტის საფუძველზე სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ინფორმატიკის“ რუსულენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში, საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

საბჭოს სხდომა დასრულდა 17:10 წუთზე

[1] ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, პროგრამა დაიშალა ცალკეულ მიმართულებებად. მოცემულ შემთხვევაში მისანიჭებელი კვალიფიკაცია განისაზღვრა მოდიფიცირებული პროგრამის სტრუქტურის და შინაარსის შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით

